სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N60

ქ. საგარეჯო 5 დეკემბერი 2013 წელი

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება" (შემდგომ „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ,მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელსეკრულებაში არის მითითებული.

1.2„შემსყიდველი ორგანიზაცია"(შემდგომ „შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას" რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ." **"საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება"**–ს დირექტორის ელზა გილაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 238156044, მისამართი: ქ.საგარეჯო დავით აღმაშენებლის ქ.№9, ა/ა №GE03LB0115135815664000, ბანკის კოდი LBRTGE22 , მომსახურე ბანკი ს.ს „ლიბერთი ბანკი-ს საგარეჯოს ფილიალი. (შემდგომში „შემსყიდველი") და

მეორეს მხრივ შ.პ.ს "D&IAUDIT COMPANY"-ის დირექტორის დავით გედენიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") მისამართი ქ. თბილისი, დ/დიღომი, მე-4 მკრ-ნი, კორპუსი 21 ბინა 9 , ს/კ 404874640, საბანკო რეკვიზიტები:ს.ს. „ბითიეი ბანკი" ბანკის კოდი DISNGE22; ა/ა GE26BT0360000627120001 (შემდგომში „მიმწოდებელი")

3. ხელშეკრულების საგანი.

3.1 ხელშეკრულების საგანია: **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება"-სთვის ბურღულეულის,კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის და თხილეულის** შესყიდვა (CPV03200000) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. თანახმად საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 3 დეკემბრის #213 ბრძანების საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს 880 ლარს.
4.2 საქონელის მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**
4.3. საქონელი მიწოდების ადგილი და მისამართი: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. # 9.

5. ხარისხი

5.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16.09 №301/ნ ბრძანების „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები"-ს მოთხოვნებს, კერძოდ:

საკვები პროდუქტების ყოველი პარტია უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას, ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლებს და დამოწმებული უნდა იყოს დამამზადებლის მიერ ხარისხის მოწმობით (შესაბამისობის სერთიფიკატით); საკვები პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმატივებს; საკვები პროდუქტების დაფასოება და შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდეს მისი ხარისხისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას; საკვებ პროდუქტს უნდა ჰქონდეს ეტიკეტი ქართულ ენაზე:
ა) პროდუქციის დასახელება და მისი სახეობა;
ბ) ორგანიზაცია - დამამზადებლის დასახელება და იურიდიული მისამართი;

გ) პროდუქციის წონა და მოცულობა;

დ) პროდუქციის შემადგენლობაში შემავალი ინგერდიენტების დასახელება საკვები დანამატების ჩათვლით;

ე) კვებითი ღირებულება;

ვ) შენახვის პირობები;

ზ) ვარგისიანობა - ვადა და თარიღი;

საკვები პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნას სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
დაუშვებელია საკვები პროდუქტების, სასურსათო ნედლეულის რეალიზაცია:
ა) ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ;
ბ) ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის სათანადო პირობების დარღვევისას;
გ) ნიშანდებას დაქვემდებარებული ეტიკეტის გარეშე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
6.2 მიმწოდებლი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებისაგან.
6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება და შემოწმება/ ტექნიკური კონტროლი, როგორც საქონლის გადაცემის დროს, ასევე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

8.2. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება– ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

8.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების შედეგად გამოვლენილი უხარისხო საქონლის შეცვლას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

9.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი (იურიდიული პირის შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაც).

9.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე,. რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან **2014** წლის **31** იანვრის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები,მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა ხელმოწერა:

„შემსყიდველი"

ა.ა.ი.პ." "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სასწავლო საადმხრდელო დაწესებულებათა გაერთიანება"–ს დირექტორი: ელ. ფოსტა: ილია შვილი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „**D&IAUDIT COMPANY**"-ს

დირექტორი: დავით გედენიძე